

საქართველო



ღიბთ ვ. ი. დეკუშვილისა თბილისი.

სამშენიერო და სალიტერატურო ნახაბიანი გაზეთი. გამოდის ჟოზელ კვირა დღეს.

№ 22.

მაისის 30, 1893 წ.

№ 22.

შინაარსი: — ერიკელ და აზატ-ხანი (ხალხური ლექსი). — მუსიკა (ლექსი) დეტუ მებრუნისა. — მკრანე. — მკრე შე-
ნიშნა. — წერილი ამბები. — ბედის ტაძარი გ. წერეთლისა. — ბედი ხვენი ბაეშვიძისა (წერილი მფორე) წყალტუბელისა. — მკი-
რე შენიშნა ხვენი ნათარგენ ლიტ. რატურაზე თ. კიკვიძისა. — ხალხური ლექსი (ფშავში ჩაწერილი გრ. აფშინდაშვილის მიერ).
ქუთაისის თავად-ანაუთო სადღილ-მამულა ბანის განცხადებანი.

მკრელე და აზატ-ხანი

(ხალხური ლექსი, შეკრებილი თ. რაზივაშვილის-მიერ)



ზატხან წამომდგარიყო,
თან მოაქეს მთა და ბარია,
თორმეტ ათასი კაცი ჰყავ,

ჯარია მეთმარია.
მთაზე დაიცა კარაგი,
ქვეშ დადგა ოქროს სკამია,
ღურბინდით გამაინდეს;
— სად არის ლორიჭამია?
წადით, ცოცხლები მომგვარეთ,
ერთსაც არ მოსჭრათ თავია.
ეს რო ერეკლემ შეიტყო,
საქრისტიანოს გულისთების
წელს შემოიკრა ხმალია:
მიშველე ქართლო, კახეთო,
შვილები ხართ, თუ ძმანია,
ერთი ზღვა გადმოვარდნილა,

ვერ გადასწედება თვალთა,
ცოლ-შვილსა ყელებს დაღვიჭრის
და დაგვიდგება თვალთა;
გავიქეთ, ვერსად წაუვალთ,
ცხენი არა გვეყეს მალთა!

მუსიკა



მეუკარს მუსიკა, მაგრამ არა დამცობელი,
წახარი ჭნელი, ფიქრო-გამხსნელი, მილის მომკერელი;
მეუკარს მუსიკა, მაგრამ არა სამხიარული,
სარგვეარი და გასართობი, უაზრ-უსულა!

მეუკარს მუსიკა, ამბეგერი, ამბელეგბელი,
ამბესებელი სამამრით, გამმხსნელებელი;
მეუკარს მუსიკა, მიუწუნებულ ტკივილთ აღმძვრელი,
დამაყიჭრელი, დაღუბებულ გრძობათ ამშლელი...
დეტუ მებრუნისა

მ ბ ტ ი ა ნ ე



ერთმეტს ამომჩრეველს შეუტანია გუბერნიის სამოქალაქო საქმეთა სასამართლოში საჩივარი უწყსოდ კენჭის ყრის მოხდენაზედ. მოჩივრების გვარები რუსულია. საჩივარი სამ პატივსაღებდს უკანონობას უჩვენებდა ქალაქის ამომჩრეველის დასარღვევად. ერთი ისა, რომ სხვა-დასხვა ყუთებში აღმოჩნდა სულ სხვა-დასხვა რიცხვი თეთრისა და შავის კენჭებისა: ზოგში იყო ცხრაას ჩეიდმეტე, ზოგში—ცხრაას ოცდათექვსმეტე, ზოგში ცხრაას ორმოცი და კიდევ მეტიც; მეორე ისა, რომ ბევრნი ამომჩრეველნი სასმელების გამოყიდვითაგანები იყვნენ და ამით, ახალი საქალაქო წესდების ძალით, არა აქეთ უფლებდა ამომჩრეველისა; მესამე ისა, რომ ყოველ ყუთზედ გარდა სახელისა და გვარისა, იყო კიდევ გამოცხადებული რიცხვი, რამდენსაც დაუსახელებია სახმოსნო პირი ამოსარჩევად. დაწერილებით არის შეტყობილი, რომ ვინც „დეორკოვი ნომრის“ კანდიდატი იყო, იმას არა ნაკლებ ოთხასი პირი ასახელებდა კანდიდატად, თვს რომ ყუთზე ამისთანა რიცხვების ზედწარწერა თითქოს ყოველს ამომჩრეველს ცხადად აჩვენებდა, ვინ იყო „დეორკოვი ნომრების“ კანდიდატი და ვინ არა. ჩენის აზრით ეს უკანასკნელი საბუთი მართლაც ძალიან პატივსაღებია და ამ გვარი განკარგულებით ცხადად გამოჩნდა „დეორკოვი ნომრების“ პარტიის ზედმოქმედება ამომჩრეველების კეთილ სინიღისთანაზედ. მაგრამ რადგან თვით გუბერნიის სასამართლოს განკარგულებით იყო ასეთი წესი შემოღებული, რასაკვირველია, იგი თვითონ თავის წესს ევლარ დაარღვევდა თუმცა ცხადია, რომ ეს წესი თვითსაჩინოთ მოეხმარა „დეორკოვი ნომრების“ კანდიდატების გაყენას.

გუბერნიის სასამართლომ უფრო იმ მიზნეს მიჰქცია თავის ყურადღება, რომ შავსა და თეთრ კენჭებს ერთად არ ითელიდნენ. რომელ ყუთშიაც უფრო ცხადად ნაკლები კენჭები იყო, მხოლოდ იმას ითელიდნენ. ამის გამო იმან მოშალა ეს არჩევანი და ახალი არჩევანები დანიშნა კვირას, ოცდაათს მაისს. იმედა მეორე არჩევნები უფრო სამართლიანი განაკლებდა იქნება ქალაქის მკონსენისა მცხოვრებლების ყველობაზედ. თვითონ ძველი სომხის პარტიაც უფრო გონიერად და წინდახედულად მოიქცევა.



დღითი-დღე უფრო-და-უფრო მტკიცდება ქიზიყ-კახეთის შევიწროებული მდგომარეობა მოუსახლეობის გამო. ვაზეთები გეცნობებენ, თუ რა საშინელი მისწრაფებით ყიდულობენ შვიმოტანილის

ფქვილს სიღნაღში. ფულს ვინდა დაძებებს, ან სიძვირსა, ოღონდ კი საკმაოდ იყოს. პურის ფქვილის გამოყიდვლიც ევლარ ასელიან გაჭირებულ ხალხის მოთხოვნილებას. ნეტა რა უნდა ჰქნას იმ ღარიბ ხალხმა, რომელსაც სარჩოც აკლია და მასთან ფულიცა. აი, იმათთვის ჯერ არსაით არის ხელი გაწვდილი მისაშველებლად.



საქართველოს მახრები, საცა კი კირანხული საკმაოდ არის წელს, გულ-მხურვალე თანაგრძნობას იჩენენ ქიზიყ-კახეთის გაჭირებულთათვის; მაგრამ საშუებაროდ ჯერ ამ გულ-მხურვალეობას საერთო თანაგრძნობის გამოცხადება ვერ მოუხერხებია. ბევრგან ფულიც იკრიბება, კიდევ იგზავნება, მაგრამ არა-ვინ იცის, როგორ და სად მიაწვდინონ, ან ვინ კისრულობს ასეთს შეამაელობას. საშუებაროა, რომ თვით ვაზეთებსაც არ ეტყობათ შეწირულობის გამოცხადება. დიდი სიკეთე იქნება, რომ ასეთ მდგომარეობას ბოლო საჩქაროდ მოეღოს და ქართველს ხალხს არ დაეშალოს თავის მოძმის საშველად ხელის გაწვდენა.



წლებანდელი წელიწადი კიდევ არაფერია შედარებით მომავალის წლის მოუსახლეობასთან. მძიმე ზამთარმა და საშინელმა დამტკევემა წყლობამ გაზაფხულისამ, ამასთანავე უწყალო სეტყვამ ქართლ-კახეთში ახალი მოსავალი სულ წაახდინა, ასე რომ წრეულსავე დამშეულს ხალხს ვისადა კიდევ უფრო გაუჭირდება. შარშან ღვინის მოსავალი ქართლში მაინც მეტად უხვი იყო, მაგრამ სეტყვამ და ცუდმა პირმა წრეანდელის მოსავლისამ ახლავე გააძვირა ღვინოც კახეთში. მისი ხალხი: ფშატი, თუში და ქისტები ცხერიტ რჩება. წრეანდელმა სასეტყვა ზამთარმა ცხერის ფარები საშინლად ვასწყვიტა, ნიაფლერებმა საბალახებში წალეკა და შემდეგ უცებ ჩამომდგარი სიტყეები, უძვეელია, ახალ ბალახს ევლარ მოიყვანს. ყოველივე ამ გარემოების წყალობით მომავალს წელს საერთო გაჭირება მოგველის. დღეს თუ ხალხი მთავში, ქიზიყში, დღუშეთის მახრამში და ზემო იმერეთში გრძნობს მოუსახლეობის გამო აღვაობრივს გაჭირვებას, ვისათუ ეს გაჭირება, უძვეელად მთელს საქართველოს მოედლება და ცუდი არ იქნება ახლავ გოგორმე თავი შეიღვას თვით საზოგადოებამ და ამ თავითვე იღონოს რამე.



აი, როგორია ახლანდელი კახეთის ხალხის მდგომარეობა, რომელსაც ვეცხატავს ილია ზურაბიშვილი:

„ამ წელიწადს კახეთს ეწვია შემადრწუნებელი უბედურება, რომელმაც ხალხი, როგორც თავადი და აზნაური, მით უფრო გლეხ-კაცობა, უკიდურესამდე მიიყვანა... ეს უბედურება იმდენად საგრძნობელია, რომ იმისმა ძლიერებამ წარსულს ნაკის წელიწადს ბევრით გადაამეტა და დაწრდილა მისი მწვავე მოქმედებანი... მე მოგახსენებთ შიმშილზე, რომელიც ამ ეამად მსუფთვეს თელავის მაზრაში... საქმე იქამდის გამწვავდა, რომ ხალხი იძულებულია ბალახით იკვებოს თავი!...



„ეს რამდენიმე ხანია თელავის სასწორზე ფეკილს ფსი ემატება და მაზრაშიაც ამ ეამად პური ძნელი საშოვნელია... შეიძლება იშვიათად მხოლოდ ერთისა, ანუ ორისაგან მთელს სოფელში, მაგრამ ის გამოვიდა იმ შოვნისაგან? კოდას 5 შ. 50 კ. და 6 მან. ნაკლებ ვერ მიიღებთ!...

„ასეთი მდგომარეობა აზიღვინებს მაზრის გლეხ-კაცობას თელავიდან ფეკილსა და იმითი ასაზრდოვებინებს თავის ცოლ-შვილსა. მერე აქვს კი ღონის ძიება, რომ შეისყიდოს ხოლმე ფეკილი? საიდან? ღვინო დღი ხანია მას გაუთავდა, ან ვალში და ან თითონ დალია! სხვა რა საშვლება უკირაეს ხელში, რითი დაიხსნას თავი შიმშილის მიერ გამოწვეულს სიკვდილისაგან?! არაფერი იმის მეტი, რომ ვაჟყოდის სულს-აქეთი ავეჯუღლება, სამეურნე ნივთები და სხვა. და სწორედ რომ ასეც არის!... მაგრამ შემდეგ! შემდეგ რაღა იქნება? მეორედ უნდა აიშენოს ოჯახი? განა შეიძლება კი? მე გგონია რომ არა. გაითავალისწინეთ ყველა ეს და დინახავთ ორს საერთოს: აწყყოს და მომავალს; არც ერთი მათგანი ვერავითარს სანუგუმებელს ვერ წარმოადგენს!... ორივეში საღატაკე, შიმშილი და სასოწარკვეთილება!...

„თეთ თელავშიც ძალიან ცოტა მოდის პური; ამ ეამად მხოლოდ ა. ივგორ ოსკანოეს მოსდის ფეკილი შეუწყვეტლივ და ფუთი, მართლა რომ კარგის ფეკილისა 1 შ. 50 კ. იყიდება!... ყოველ დღე იმის საწყობთან აუარებელი ხალხი ტრიალებს; ფმეტესი ნაწილი გლეხ-კაცობა; ზოგი ხურჯინით მოსულა, ზოგი ტომრით და ზოგიც პატარა პარკებით. იყიდის გლეხ-კაცი ორი-სამი დღის სავაძლს და მიეჭარება შინსაკენ, მიაწოდოს ლუგმა თავის საცოდავს ცოლ-შვილს, რომელსაც, შეიძლება, რამდენიმე დღეა პური თვლითაც არ უნახავს!



„თუ კიდევ გაგრძელდა ამ გვარი მდგომარეობა, ძნელი სათქმელია რა მოვლის ჩვენს საცოდავს ხალხს!

ისიც უნდა ექიანოთ მხედველობაში. რომ ეს და მშვევა შემდგდგისთვისაც დააჩვენეს ამ საცოდავების კეთილ-დღეობის თავის დაღს და, შეიძლება, სამუდამო-სო შიმშილი თავიდან ვეღარ ავიცილოთ!...

ამისათვის ახლავე უნდა ვეცადოთ საქმის გეროვანად მოვლას და წინ წასწვევას!... სხვათა შორის ერთ საუკეთესო ღონისძიებად დაისახება შემდეგი: იშუამდგომლოს, ვისიც გერ არს, მაღალ მთავრობასთან, რათა დამშუელ სოფლების საზოგადოებებს მიეცეთ დროებითი, ანუ თუ შეიძლება სამუდამო, დახმარება იმ ფულიდან, რომელიც შეგროვილია სოფლის მალაზიების პურის გაყიდვით. როგორც დაქვემდებარებული ვიცი, ეს ფული სულ 32000 მანეთია; როცა მოვლენილი უბედურება მოშორდება ხალხს, მაშინ ის ფულიც შეიცვება. დაყოფება საქმისა გამოიწვევს შემადრწუნებელ შედეგს!...



იქითა კვირას მთავრობის განკარგულებით მოვიღენ საქართველოში მეცნიერნი ვენახების დასათვლიერებლად და მათ ავადმყოფობის შესასწავლად. ერთი იყო საფრანგეთის მეცნიერი პროფესორი მარონი, მეორე დოქტორი გორგატი, რომელიც არის ფილოქსერის წამლობის მოთავე ვენგრაში, მესამე აკადემიკოსი კოვალევსკი და მეოთხე ოდესის უნივერსიტეტის პროფესორი მელიქიშვილი, რომელსაც აქვს ზღუზულობით ბესარაბიისა და ყირიმის ვენახების წამლობის ზედამხედველობა მინდობილი.



მისის 21 ტუფილისის კავკასიის სამეურნეო საზოგადოების სადგომში მოხდა კრება; სადაც ბევრი ადგილობრივნი მეურნეობის მეცნიერნი და მიწათმოქმედნი დაესწრენ, რომ მოეპინათ მეცნიერის სტუმრების აზრი და დაკვირვება სხვა-და-სხვა ჭიებისა და სოკოებისაგან განადგურებულს ჩვენს ვენახებზედ. ამ კრებებზედ უნდა გამოარკვეულიყო შემდეგი საკითხავები: ა) რა გზას უნდა დაადგენ მეცნიერები და რა ღონისძიება იხმარონ ფილოქსერის მოსასპობად კავკასიაში; ბ) რა ნაირად უნდა გავრცელდეს ამერიკული ეაზი, რომელსაც ფილოქსერა არ ეკარება და როგორი მწიფელობა, ან რა ხასიათი უნდა ექმნეს ამერიკული ეაზების გაშენებას კავკასიაში; გ) რა პირობით უნდა მიეცეს ნება კერძო მეოჯახებებს, რომ ამერიკული ეაზი გააშენონ, გარდა იმ დაწესებულებათა, საცა თეთი მთავრობა კისრულობს თავის ხარჯზედ ამ ეაზის გაშენებას; დ) მიეცეს თუ არა ღონის-იმერეთის მეოჯახებებს ნება, დაიბარონ ხეხილსა

და სხვა საქინანულო-სამრეწველო მცენარის ნერგები მცირე აზის, ოსმალეთის და იტალიის ზოგიერთი ალაგებიდან, საცა კი არაერთი რეზილისა და ვაზის ავადმყოფობა არ არის.

ყველა ამ კითხვების დასაბოლოებლად ჩინებული აზრები წარმოთქეცს პროფესორმა მარიონმა, დოქტორმა გორვატმა და პროფესორმა მელიქი-შვილმა.



პროფესორმა მარიონმა ძალიან სამწუხარო სურათი აღვიხატა შორაპნის მავრის ენახებისა. იქ ისე ყოფილა მოღებული ფილოქსერა, რომ მომეტებული ნაწილზედ წამლობაც მოუხერხებელი ყოფილა. ამ სავანზედ შეიქნა ბაახი და ბოლოს ვადაჭრით წარმოსტევა ფრანკოზის მეცნიერმა. პრის ორ ნაირი ნიადაგი შორაპნის მავრაზიო. ერთი — ყვირილა-რიონის ჭალები, საცა ნიადაგი მეტად ნოყიერია, და ქვიზიანი. ამ ალაგებზედ შესაძლებელია გაშენდეს ენახები და წამლობაც მოუხერხდება, რადგან ერთი, რომ ნოყიერი მიწა ვაზს საკმაო ღონეს მისცემს, ავადმყოფობა ადვილად ვადიტანოსო და მეორე, რომ მიწის ნიადაგი უფრო ფხვიერია, წამალიც ადვილად გაატანს ვაზის ფესვებში და მოჰკლავს ფილოქსერის ჭიებს.

მეორე ნაირი ნიადაგი, როგორც პროფესორმა მელიქიშვილმა ახსნა, გორგებზედ და ფერღობებზედ მეტად მძიმე კირიან-თიხიანი (აყალოიანი) არისო. ამისთანა ადგილებში თვით ზედაპირს ნიადაგისას, საცა კი ნოყიერება მოიძეება, მეტად თხელი და ცოტა სისქე აქვსო. ამას ქვეშ კი მდებარებს თიხა (აყალო მიწა), რომელშიაც ვერც წყალი გაატანს და ვერც არაერთი წამალი. ამის გამო აქ წამლობა ავადმყოფს ვაზს არ მოუხერხდება და საზარალოც არის მეოჯახისთვისო. მძიმე, და კირიან-თიხიანი (აყალოიანი) ნიადაგებზე, როგორც კი განხდება ფილოქსერა, ენახები მაშინვე უნდა მოისპოს და იმის მაგიერად სხვა საქინანულო მცენარეობის მოყვანას უნდა შეუდგნო. ზოგ ალაგს ზეთისხილის კეთება შემოიღონ, ზოგან კაპრეტები გააშენონ, ზოგან რწყილის წამლის თესლი მოიყვანონ, ეს იმაზედ იქნება დამოკიდებული, სად როგორი ჰავა და ნიადაგიაო, რა ალაგს რომელი მათგანი უფრო ხელს მისცემს მეოჯახისათვის.



ამ სახით მომეტებულ ნაწილს შორაპნის მავრის მთავორებზე, როგორც, მაგალითად - ზემოსაქარას, დილიკაურს, აღისუბანს, კვალითს, იღემს,

ფუთს, ბოსლევს და ბევრგან, საცა კი კირიან-თიხიანი ალაგებია, შეუძლებელია, რომ ფილოქსერის ავადმყოფობას რამე მოუხერხდეს. ამ ალაგებზედ, საცა კი ფილოქსერა განხდება, ის ენახები უსათუოდ უნდა მოისპოს, რადგან მათი წამლობა მოუხერხებელია და იმ ადგილებიდან ფილოქსერა მეზობელს ენახებშიაც განხდება ადრე თუ გვიანო. ასეთი ღონისძიების ხმარება მიუცილებლად საქიროა და ამის დასამტკიცებლად ჩინებული მოსაზრება წარმოსტევა ბ-ნმა გუნცაძემ. მისის აზრით საშუალოდ რომ ვიანგარიშოთო, ერთი დესეტინა ენახი აძლევს ასოც ფუთ ღვინოსო, რომელიც ღირს სამას მანეთალო. მუშაობის ხარჯი წელიწადში თუთხმეტი თუმანიო; ამდენი ენახის წამლობა მეპატრონეს უჯდება ათი თუმანიო; მე აქ არ ვანგარიშობო პატრონი ვანოყიერებას ენახისასო. მაშ დარჩება მეპატრონეს ხუთი თუმანიო. ეს ხუთი თუმანიც ნიადაგის შეპატოებას მოუნდება და გამოდის, რომ ფილოქსერიან ენახის მეპატრონეს მხოლოდ ჯაფა რჩება და სხვა მოგება კი აღარაფერია. რასაკვირველია, რომ სჯობია ამისთანა ენახი სულ დასწავს მეპატრონემ და მანედ სხვა რამ დათესოსო.



რაც შეეხება ამერიკულ ვიზების შემოღებას ამ საგანზედ მეცნიერებმა წარმოსტევეს შემდეგი აზრი. თვით საფრანგეთისა და ენგერის მაგალითი ვიციენებსო, რომ საქიროაო დაარსდეს ორნაირი მეცნიერული გამოკვლევა. იქ, სადაც მთავრობის საშუალებით გამართულია ვაზის წამლობა, თუნდ საქარის სანამყენოში, გაშენდეს ნახევარ დესეტინაზედ ამერიკულს ვაზზედ დამყენი ალაგობრივი ენახის ნამყენი და ნახევარ დესეტინაზედ მხოლოდ ამერიკული ვაზის ნერგები. რომელიც უფრო გაიხარებს და სარფა გამოადგება მეოჯახისთვის, იმას მიჰყონ ხელი. საფრანგეთის მაგალითმა ცხადდ დაამტკიცა, რომ ამერიკულ ვაზებზედ დამყენა ალაგობრივის ენახის ნამყენისა ძალიან საქირობოტო; გამოუტყველი კაცი და უსწავლელი ვერც კი მოახერხებს ამ ნაირად ენახის გაშენებას და ამას გარდა ნამყენიც არ ხარობს. მანასადამე ყველას სჯობია, თითონ ამერიკული ვაზი ზედ-დაუმყენელოდ გააშენონ. მაგრამ ამასაც თავდაპირველად სანამყენოში გამოკლა უნდა, ვინ იცის ჩვენს ნიადაგს როგორ შეიშაობს ამერიკული ვაზი. იქნება კიდევ განიაროს, მაგრამ მისი ღვინო უფარვისი გამოდგეს.



ამის გამო ყველა მეცნიერები ამ სამეურნეო კრებაზედ შეთანხმდნენ, რომ უსათუოდ სახელმწიფო



ბელის ტაძრის წმინდა ბარძიმების

საქარის სანამყენოში გააშენონ ორ გვერი ეწინააღმდეგეთ ერთი ამერიკულის ეაზისა და მეორე ამერიკულ ეაზზე დამყნლი ჩეენებური ეაზები. არამცა და არამც ნება არ მიეცეს კერძო პირს, რომ თვითონ დაიბაროს უცხოეთიდან ამერიკის ეაზის ნერგები, რადგან ამ ამერიკის ეაზსაც სჭირებია თვისებური ავადმყოფობა სახელად ბლაკროტი, რომელიც მილდუმზედ კიდევ უარესი ყოფილა.



სწავლულმა გარეატმა წარმოსთქვა, თუ რა წესით მოქმედებს ავსტრიის მთავრობა ამ შემთხვევაში. არის ისეთი მთავრობის დაწესებულებოა, რომელიც თვითონ გზაენის საფრანგეთში თვის მეცნიერს მერწინებსა და იქაურს სანამყენოებში თვი-

თონ ეს მეცნიერები არჩევენ ამერიკის ეაზის ნერგებსა, რომ ბლაკროტის ავადმყოფობა ნერგს არ გამოაყვესო. ამას გარდა თვითონ ამ არჩეულს ნერგებს გაველებენ ბლაკროტის მოსაკლენებელს წამალში და ისე გზაენიან ავსტრიაშიო.

აქ მთავრობა გამოაცხადებს ყოველ ნოემბრის თვეში ნერგების გაყიდვასო და შემამულენიც ყიდულობენ მთავრობის დაწესებულებისაგან ამერიკულ ეაზის ნერგებსო. მთავრობა ჰყიდის ამ ნერგებს იმ ფასად, როგორც მას უჯდება ადგილობრივად და არ ანგარიშობს იმ ხარჯს, რაც გადმოტანაში, ან მეცნიერების გვზაენაში და ნერგების წამლობაში უჯდება. კრებამ მოიწონა ეს წესი და დაასკენა, საქრო არისო ესევე წესი შემოილოს ჩვენმა მთავრობამ კავკასიის შემამულეების ხელის გასამართავადო.

მცირე შენიშვნა

მეტიდობა რომელიმე პირი ნიადგა ბევრსა სწერ-
ყვის სამზობლო ლიტერატურაში, ბევრსაც
ყვიროდეს საზოგადო საქმეებზედ, წიგნებიც
ბევრი შეადგინოს, დასტამოს და გამოცეს; მაგრამ
„ფრიალ და მსახურებამის“ მიიცი ღილი მანძალი
უკლდეს; ისიც ხომ შეიძლება, კაცს ბევრი ეწეროს,
მაგრამ ეს ნაწერები ყურადღების ღირსი არ იყოს.
განა არ შეიძლება, საზოგადოებამ უფრო ღიდ და მ-
სახურებად ჩაუთვლოს ამისთანა მწერალს, — წერაზე
რომ სულ ხელს აიღებდეს, რადგან მის ნაწერებში
შესაძლებელია, ბევრი ცრუ, მრუდე და ღვარძლიანი
აზრები იყოს განთესილი. ისიც ხომ შეიძლება, რომ
ასეთი კაცი წერიც იყოს ყოველის საქველმოქმედი
დაწესებულებისა, მაგრამ მის წერილსა სარგებლობის
მაგიერად მანებლობა უფრო ბევრი მიუძღოდეს. ასე
რომ იყოს, მაშინ რაღა ბრალი დაედება „წიგნების
გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის“ კენჭის ყრას?



მოშირე არა ჰქვიან, თუ სამდე სთქვას ერთი, ორი;
თავი ყოლა ნუ ჰგონია მელეკეთა კარგთა სწორი;
განაღა სთქვას ერთი, ორი, უმცავსო და შორი-შორი;
მაგრამ იტყვის: „ჩემი სჯობი“ უცილობლობს, ვითა ჯორი.

ეს ღიდებული პოეტის სიტყვები შეიდასის წლის
წინად წარმოთქმული ისე ცოცხლად ბატავს ჩვენს
ღღვენდელს ლიტერატორთა და პუბლიცისტთა თე-
ინებას, რომ ის ზემოხსენებული ლექსი, თითქმის გუ-
შინ იყოს ზედგამოჭრილად წარმოთქმული.

ჩვენს აზრით, „წიგნების გამომცემელი ამხანა-
გობა“ ფრიალ შესანიშნავი დაწესებულება საქართვე-
ლოში, რომელსაც ჯერჯერობით თითქმის სწორი
არა ჰყავს საქართველოს ნიადგაზე. განა ახალი
გაგონებაა, რომ ბევრი შემდგარა ჩვენში საზოგა-
დოება, მაგრამ არცერთს ღიდი ღდე და თვალ-
საჩინო ხანჯრძივი წარმატება არ მისცინა? ერის-
თვის? იმისთვის, რომ ან საზოგადოების მოთავენი
არ ყოფილან ჯეროვანად გამსკეალულნი თავის მო-
აღყოობითა და მსხვერპლიმტანნი, ან და ზნეობრივის
მხრივ მდგარან დაბალ ხარისხზე. ოღანთაც ევერ აუტა-

ნით პირადი შეურაცხყოფა და თავის პიროვნულ
თავმოყვარეობისათვის შეუწირავთ ყოველთვის საზო-
გადო საქმე.



„წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგო-
ბას“ ბედით ასწენია ისეთი მეთაურები, რომელნიც
ყველაზედ ნაკლებათ ფიქრობენ თავის საკუთარ პი-
როვნულს თავმოყვარეობაზედ. იმათ ბევრი ღანდღეა-
გინება, შეურაცხყოფა და მიეთ-მოეთობა ზვედლიათ
წილად იმისთანა კაცებისაგან, რომელნიც თქვენ
„ფრიალ და მსახურებულად“ მოგანიათ; მაგრამ ისინი
ამას ყურადღებას არ აქცევენ და მხოლოდ ცდილობ-
დენ წვერების ამორჩევის დროს ისეთი თხა არ
არ გაერთათ ცხერის ფარაში, რომელიც კლდზედ
გადაყრიდა მიველს „ამხანაგობის“ წვერებს და იმათ
ნამოქმედარს. რადესაც ისინი ირჩევენ თავიანთ წვე-
რებს, მხოლოდ ხელმძღვანელობენ წვერის ზნეობით
სიწმინდით და უფრთხიან რკებიან აესულებს.



მეორე საბუთი კიდევ ეს არის, რომ არჩევითი
დაწესებულებაში მხოლოდ მაშინ მიდის კარგად სა-
ქმე, როცა ყოველი ამორჩეველი მიდის ყუთთან
კენჭის ჩისავდებად მარტო საკუთარი თვით-არის
მოსაზრებით და არავითარს ვარემე გავლენას არ
უნდა გამოჩინებოდეს მისი ნება. ის უნდა იყოს
გამსკეალული მხოლოდ იმ აზრით, რომ ამორჩეული
კაცი სასარგებლო იქნება საზოგადოებისათვის, თუ
საზარალი. იქნება ამოსაჩუქრი პირი ძლიერ და მსახუ-
რებულად იყოს, „ფრიალ პატეისაცემიც“, მაგრამ საზო-
გადოებისათვის კი საზარალი გამოდგეს. ხალხში ნათ-
ქვამია: „ეს ფონი კარგია, მაგრამ ერთგან არიობსო“. აი,
ამ ფონზე გასულელს კაცს რაც უნდა უქო იგი,
მაინც ევერ ენდობა და შორს მდებარე ხიდზე გასელს
არჩევს. ამხანაგობის კრებამაც ასე გადაწყვიტა თავის
განაჩენი „ფრიალ და მსახურებულს კაცზედ“ და ნურას
უკაცრავად. რაიცა შეეცება იმ პირობა, რომელნიც
ემუქრებიან ამხანაგობიდან გამოსელას, იყვენ ნება
მათი. საბრძოლად გამაზნერებული რაზმი რიცხვით
კი არ უნდა იქმედეს თავს, ამაყედ ყოველი მებრ-
ძოლის პირადი ღირსებითა.



წერილი ამბებში

მისის 30-ს დანიშნულია „წერა-კითხვის სა-
ზოგადოების“ სასარგებლოდ აღვერი მუშ-
ტილის ბაღში წინა წლებში ყოველთვის მა-
ისის ღამდეს მოხდებოდა ხოლმე ამ გვარი დროს

გატარება საქველ-მოქმედი საქმისათვის. წელს კი
სხვა-და-სხვა დამაბრკოლებელ გარემოების ძალით
მოუღვიანდა აღვერის გამართვა, მაგრამ მაინც იმე-
ღია, რომ საზოგადოება არ მოაკლებს ჩვეულებრი-
ვად თავის თანაგრძობას.



კერას, მისის 23-ს მოხდა ქართულ გამოცემელთა ამხანაგობის კრება ახალ მოხელეთა ასარჩევად. ამორჩეულ იქნენ გამგედ ა ჯაბადარი, ხაზინადრად ი. მაქავარიანი, გამგეოს წევრად ს. ინასარიძე, მდივნად ნ. ზედვინიძე. ამავე კრებაზედ განხილულ იქნა თხოვნა ამ ორის წლის წინად გამაგებულის ბ.ნი.მის. ნასიძისა, რომელიც ხელახლად ითხოვდა წევრად არჩევას. უყარეს კენჭი და ხელმეორედაც არ ამოარჩიეს. თუთხმეტი თეთრი მოუვიდა და ო.რ.მო.ც.-და-ცხრა კენჭი შავი.



ჩვენ მივიღეთ ბ.ნი.ი. კაკაბაძისგან ზესტაფონს მოგროვილი შვიდი თუმანი, ორი მანეთი და ერთი აბაზი „წერა-კითხვის საზოგადოების“ გადასაცემად



ბედიის ტაძარი

ბედია მიხსენებულია ძველადვე საქართველოს მატანიეში. ეს ადგილი ერთი უძველესთაგანია. მისი სახელი საქართველოს პირველ მეფობიდანვე არის ცნობილი სამასის წლის წინად ქრისტეს მოხელასდ. „ქართლის ცხოვრების“ ზეპირგადმოცემისამებრ, აქ დამკვიდრებული პირველად ვგროსი, თარგამოსის ერთი ძეგავანი, რომელსაც ალუშენებია ქალაქი ვგროსი და შემდეგ ეს სახელი დარქმევია როგორც თვით მდინარეს, რომელზედაც ქალაქი ყოფილა გაშენებული, აგრეთვე მთელს დასავლეთის საქართველოსაც—ლიხთიქით შვარეს შავ-ზღვამდის. ეს ის ქვეყანაა, რომელსაც სულ ძველად ბერძნებმა უწოდეს კოლიდა და შესაძლებელია ქართული სიტყვისაგან „კლდე-რყეათაღან“ გადაკეთებულიყვეს ეს სიტყვა, რადგან ეს ქვეყანა მართლაც უწინდელს დროს და ახლაც, ჯიქეთის მხარეზედ ნამეტურ, ზღვის ნაპირის კლიდანს რიყეს წარმოადგენს.

საქართველოს პირველმა მეფემ ფარნაოზმა ისიძი ვგროსის გამგებელი ქუჯი, მიათხოვა თვისი დაჲ. მას აქეთ მის სატახტო ქალაქს, ვგროსს, დაერქვა სახელად ბედია. ეახუშეტის აზრით თვით ქუჯმა დაარქვაო თავის ძველ სატახტო ქალაქს ვგროსს ბედია, ვითომც იმისთვის რომ მან აქ ჰპოვა თავისი ბედი, ესე იგი გამტენიერდა ფარნაოზ მეფის სიძობით.

ალაღი ბედია მდებარებს სევანეთის ქედის გადმოღმა-კალთების ძირში, მდინარე ვგროსზედ, რომელიც ერთვის შავს ზღვას, დაბა ოჩამჩირესთან, მდინარის ენგურის ჩრდლოეთით. მერვე საუკუნეში,

დანიშნულებისა მებრ მოსახმარებლად; აი, სია შე მომწირველთა:

ბბ. ნ. ბ. ლლაბერიძემ 20 მან., ფანსუა სოლოლაკმა 5 მან., ალექსანდრე წულუკიძემ 3 მან., გ. ჩუბინიძემ და თ. ავეგირონი 5 მან., ს. კლიაშვილმა 2 მან., ალიკიად იანაზოლომ 3 მან., რაფიელ გველესიანმა 1 მან., პავლე ამალობეღმა 1 მან., ერისტო ზანდრაძემ 1 მან., სამსონ გაჭირობიძემ 20 კაპ., მარკოზა გვარამია 50 კაპ., იორდანე სიხარულიძემ 1 მ., ლეო პანსიემ 1 მ., ფილიპე დარჩიამ 1 მ., თედორე კიკეძემ 1 მ., ნიკო კაკაბაძემ 1 მ., ილიკო კაკაბაძემ 2 მ., ნესტორ კაკაბაძემ 3 მ., კიმოთ ვარდლასანიძემ 1 მ., ალექსი ხარაბემ 50 კაპ., ვ. დარჩიამ 1 მ., ილიკო ქუთათელაძემ 1 მ., ალექსანდრე კვეციანემ 1 მ., კოლა ქუთათელაძემ 1 მ., მაქსიმე დეისაძემ 1 მ., ყარამან კაკაბაძემ 1 მ., მოსე მოსუშვილმა, 1 მ., მათე მელაძემ 1 მ., ილიკო კოლომიცოვმა 1 მ., ზარასი გაჭირობიძემ 1 მ., ლევან კაკაბაძემ 1 მ., მე ი. კ.—ქემ 5 მ იესებ ფხაკაძემ 50 კაპ., = 72 მ. 20 კაპ.

როდესაც ლეონ პირველმა მიიღო მეფობა და განათავისუფლა მთელი დასავლეთის საქართველო ეიზანტიის იმპერიის მორჩილებისაგან, მაშინ მან ვაჟყო შავის ზღვის მხარეზედ ნაპირები სამ საერისთოდ: ბედიის საერისთო, ანუ სრულიად სამეგრელო, ცხუმის (სოხუმის) საერისთო და აფხაზეთის საერისთო, ანუ ახლანდელი ჩერნომორიის მხარე (Черноморскій край). ეახუშეტი ჰგონებს, რომ ეს სახელი უწოდეს მას პირველად ბერძნებმა და ვითომც წარმოებდეს ვგროსის შვილიშვილისაგან, რომელსაც რქმევილა აბაზა, ანუ აბაზღა. ბედიის ერისთავის ღირსების წოდება ყოფილა „ბედიელი“ თამარ მეფის დრომან. როცა თამარ მეფემ სამეგრელოს ერისთავი მისცა ეარდან დადიანს, რომელიც წინად იყო ბედიელად, მას შემდეგ აქ ბედიის ტაძარი შეიქმნა ბედიელ მიტროპოლიტთა საჯდომი და მეფის კურთხევის დროს ამ ბედიელ მიტროპოლიტს ეჭირა ო.ც.და-მეექვსე ადგილი.


ამ დროდან სამეგრელოს ერისთავს ეწოდებოდა დადიანი, ხოლო ბედიელობა დარჩა ღირსებად ბედიის მიტროპოლიტსა.

როგორც ბედიის მიერ გადმოცემული ზედწერა ბედიის ტაძრის ბარძიშზედ ამტკიცებს, ეს ტაძარი უნდა იყოს აშენებული მეათე საუკუნის განსულს. ახლა ეს ბარძიში ინახება ილიორის ტაძარში და ფხვი აქვს მ-მეტრეული. მის გარშემო აწერია

*) ცხუმი ქართულად ნიშნავს სიციხანს, მზეზედ მიქციულს ადგილს. შემდეგ სიტყვა ცხუმი ოსმალებმა გადაამაზინჯეს სუბუზად. აბტ.



ბუღისის ეკლესია



ბელის ტაძრის ნანგრევები

შემდეგი: „წმინდაო დედა ლეთისაო მეოხ ექმენ წინაშე ძისა შენისა ამა ბარძიმისა შვიამწირველთა, ტაძრისა ამის აღმაშენებელთა და საკურთხეველისა ამის შექმობთა აბზაზეთის მეფესა ბაგრატს და დედასა მისსა დედუფალს გურანდუბტს“.

მეორე ზედწარწერაა ბარძიმის ფეხის ვარშემო: „ყოელად წმინდაო ელახერნისა ლეთის შშობელო მეოხ მექმენ წინაშე ძისა შენისა დღესა მას განკითხვისასა ცუად-ფარვად ჩემდა ბედიელ მიტროპოლიტსა გერმანე ჩხეტიძესა ამინ“.

ბროსეს ვაღმოუღია ერთი ზედწარწერა დასაეღეთის კუთხის ქვაზედ: „წმინდაო დედაო ლეთისაო მეოხ ექმენ ვალატოზო უხუცესსა სიმეონს, ამშენებელსა წმინდისა ამის ტაძრისა. ამინ“.

სამხრით კედელზე ბროსეს დროს ყოფილან დახატულნი სიმაღლით დადიანი გიორგი და დედა მისი მარეხი. მის გვერდით ამოუკითხეს შემდეგი ზედ

წარწერა ფერადი წამლითა: „დიუფალთ დიუფალი მარებ და შვილი მისი ერისთავი და მსახურთ უხუცესი დადიანი გიორგი“. ეს უნდა იყოს ლევან დადიანის შვილი, რომელიც განაგებდა სამეგრელოს მეთექვსმეტე საუკუნის ვასულოს. ბაგრატ მესამის კვაში წამოიღო ზეიად ერისთავმან ფანასკერტიდან და დასაფლავა ბედიას. აქედან უნდა ვიგულისხმოთ, რომ დედოფალს გურანდუბტს და მის შვილს ბაგრატ III-ს, აფხაზეთის მეფეს, აუშენებიათ ეს ტაძარი კარის ეკლესიად და გაუზღიათ თავის სასაფლაოდ.

ბელის ტაძარი ფრიად შესანიშნავია თავისებურებითა და თითქმის ყველა საქართველოს ტაძრებზედ უფრო ატყვია ამ ეკლესიას უძველესი ქართული ხუროთ-მოძღვრების კვალი. გარეგანი ქანდაკი კარებზედ და ფანჯრებზე შვიცავს ქართულ გრებილითა ნაქარგს, რომელიც თავისებურად არის დაწყობილი, შემკული და გერ კიდევ სეტის ზოლებად არ გა-

დაქმნილან. ამ გვარი ხელოვნება არის ნიმუში უძველესის აზიის ხელოვნებისა, რომელიც იმ დროს აღარც ვიზანტიაში და არც დასავლეთის ევროპაში არ სცოდნიათ. ამ გვარი სახეები ხელოვნებისა მხოლოდ საქართველოში შენახულა.

ბედის ტაძრის გვემა ჯვარის სახედ არის მოყვანილი. დასავლეთისაკენ ჰქონია შეწინიერი ხუროთმოძღვრების გვემაზე აგებული ფარდული (პორტიკოსტოვა). შიგნით ორ ეტაჟიანი ხორა, რომლის ზემო ნაწილი კამარებით უნდა ყოფილიყო შეწინებულნი თვით ტაძრის გუმბათთან. მას აქვს სამი სამწირველი, შუაგული ყველაზე უღიდესი. შიგნით ტაძარი ყოფილა მოხატული, ეს ჰქონია თორმეტ კუთხიანი ბოყიით შეკრული. ორს განის საკურთხეველში ორ-სართულიანი ოთახებია დატანებული. ზემო სართულის ოთახებში კიბის მიუღვამლად ვერ ავა კაცი. როგორც ეტყობა აქ ყოფილა ტაძრის სალარო და საგანძური. მოზიანობის დროს აქ უნდა შეენახათ ყოველი ძვირფასეულობა. თვით სართულ-

ში შესავალი კარი ისე იკეტებოდა, რომ უტორო ეყვანა შენიშნავდა. როგორც აქ დასატულ ნანგრევებიან სხანს, ზედის ტაძარი მეტად წაშლარა და დაშლილა დროთა ეთარების გამო. დღეს იგი შეფთაოლილია სურობით და ნანგრევებდ ხეებია ამოსული.

ხუროთ მოძღვრის პავლინოც დაწერილებით შეუსწავლია მისი გვემა, გაუზომავს და შეძლევ აღუდგინა მისი სურათი, რომელიც აქვეა დახატული. მეთექვსმეტე საუკუნეში გიორგი დედანს და მის დედას მარტეს ეს ძველი ტაძარი შეუკეთებია და მისი კვალი დღესაც სხანს აღმოსავლეთის კედლებზედ, გარედან, გვევის შეუფერებელი მოქანდაკებული ჯვარითა. ეს ჯვარი სრულებით არ ეთანხმება ტაძრის დიდებულს შერობას და ხუროთ მოძღვრების გეოგნების წინააღმდეგია: ვახუშტის დროს მეთერთმეტე საუკუნეში ბედის ტაძარი ჯერ კიდევ არ ყოფილა გაუქმებული.

გ. წერეთელი

ბედი ჩენი ბავშვებისა

წერილი შვარვ

ბირველ წერილში ჩენ დაუხატეთ მკითხველს, მემღობისამებრ, ჩენი ბავშვების ბედი დაბადებამდის და თვით დაბადების დროს, ახლა ჩვეულებით კვალში სალად დაბადებულ ყმაწვილების მოვლას და აღზრდას, რათა? ცხადად დაეინახოთ მათი მდგომარეობა.

ახლად შობილი ადამიანი საშინელი სუსტი რამ არის. თუ რიგიანი მოვლა არ ექნა, მას ერთს დღესაც არ შეუძლია იცოცხლოს: მისი სიცოცხლე კარგს მოვლაზეა სრულიად დამოკიდებული. ბავშვის ცხოვრებაში ისეთი დიდი ცვლილება ჰხდება დაბადების დროს, რომ საკვირველია, როგორ იტანს მისი უსუსური და ნაზი სხეული ამ ცვლილების ზეგავლენას. შობამდის ახალი არსება დედის გეაში ცხოვრებს. იქ სუნთქებს და დედის სისხლით საზრდოებს; არასფერს პირ-დაპირ გაელენა არა აქვს მანვდ: მოზორდება თუ არა დედის გეაშს, იგი საკუთარ არსებდ ჰხდება. მასზედ ახლა ერთბაშად და პირ-დაპირ მოქმედობს ყველაფერი: ჰაერი, სიცივე, სიმშობლი წყურვილი და სხვ. ამიტომაც დიდი გაფრთხილება და მოვლა ეჭირება, ახლად შობილ ადამიანს. თუმცა გრძნობს იგი ყოველსავე გაჭირებასა და საქაროვბას, მაგრამ ჯერ-ჯერობით მას არც ვაგება აქვს და

არც მოხერხება, რომ გამოხატოს როგორმე და ჩენც გაგვაგებოს თვის გაჭირება. ერთად-ერთი საშუალება მისი ყველაფრის გამოსახატავად არის ტირილი. ამიტომაც ახლად შობილის დაბინის მოვლა დიდ გამოცდილებასა და ზრუნვას მოითხოვს მომვლელისაგან. საკმარისია ერთი უბრალო შეცდომა, რომ ახლად შობილ ყმაწვილს სიცოცხლე მოუსპოს, ან დაასნეულოს.

თავდაპირველად ახლად შობილი ყმაწვილის მომვლელისა და აღზრდელის სრული ყურადღება იმის სხეულის მოვლასა და აღზრდაზე უნდა იყოს მიქცეული, რადგანაც იგი ამ დროს თათქის მარტო პირუტყულის გონებით ცხოვრებს. მაგრამ ეს მოვლა და აღზრდა ძრაველ ბევრს და რთული პირობების დაცეასა და ასრულებას მოითხოვს. ამგვარ პირობებს, სხვათა შორის, შეადგენენ: შესაფერი ტემპერატურის დაცეა; დიდი სისუფთავე, წმინდა ჰაერი, კვება, დროზე მოსვენებით ძილი, მოძრაობა და სხვანი.

დედის გეაში ბავში, ცხადია, დიდ სითბოში იმყოფება, ამიტომაც თუ დაბადებას შემდეგ, მინამ შეიწვეოდეს, თბილად არ შეინახეს და საკრძნობელი ცულილება მოხდა ამ შობილ, მის ცხოვრებაში უსათუოდ სიცოცხლე მოესპობა. მას მიუტოვებლად საჭიროა, გიზომოს ტერმომეტრით სითბო იმ ჰაერისა, რომელშიაც ახლად შობილი ყმაწვილია მოქცეული. მაგრამ ჩენში, სამწუხაროდ, სახლები ისეა



